

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

13 მაისი, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ღლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ

/მომხსენებელი რ. ჩიტინძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ

/მომხსენებელი რ. ჩიტინძე/

3. სხვადასხვა

ბიუროს წევრების მიერ დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღთან დაკავშირებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: **საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს მ/წ 20 მაისი**

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N9 დადგენილებაში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანა განპირობებულია იუსტიციიდან მოსული შენიშვნების (N189/07-02 22.03.2011) საფუძველზე.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (ი. გვარჯალაძე). დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

2) საკითხი შეტანილ იქნას მ/წ 20 მაისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში

3) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ.

საკითხთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ზაზა ქავზინაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქ. ლანჩხუთში, კვირკველიას ქ. N21-ში მდებარე ქონება, კერძოდ შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 688.22 კვ.მ. მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით ფართობით 1898 კვ.მ აღნიშნული ქონება ავარიულ მდგომარეობაშია და მიზანშეწონილია მისი პრივატიზება ინვესტიციის მოზიდვის მიზნით, რაც ასევე გამოიწვევს ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მოზიდვას და ასევე გააღამაზებს ქალაქის იერსახეს. მანვე აღნიშნა, რომ ზოგიერთ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია უსახური, უგემოვნო ტიპის დროებითი ნაგებობანი. პოტენციური მყიდველები იღებენ ვალდებულებას, რომ აუქციონში

გამარჯვების შემთხვევაში ააშენებენ თანამედროვე ტიპის შენობებს, რომელთა იერსახე შეთანხმებული იქნება შესაბამის სამსახურებთან.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან შემოსულია თხოვნები თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესყიდვის შესახებ. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მიზნაშეწონილია აღნიშნული მიწების პრივატიზება. მან ბიუროს სხდომას წარმოუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ჩამონათვალი საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანად

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია (გ. ორაგველიძე). განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიას, ინფრასტრუქტურის კომისიას, ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

2) საკითხი შეტანილ იქნას მ/წ 20 მაისის სხდომის დღის წესრიგის პროექტში

3) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზაზა ქავზინაძე,

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 7, წინააღმდეგი ერთი – მარინე თურნავა

დღის წესრიგის ბოლოს საკრებულოს ბიურომ ვადებთან და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილებები:

1) თანამომხსენებლად განისაზღვროს სამართლებრივი აქტის პროექტზე განხილვისათვის განსაზღვრული ძირითადი კომისიის თავმჯდომარე.

2) დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს (ნინო ძიძიგური), საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

3) საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყოს პროექტების განხილვა და დასკვნების წარმოდგენა 2011 წლის 19 მაისამდე.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტაძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

/ნ. ძიმიგური/

თანაშემწე:

/დ. დოლიძე/

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

/მ. კეკელიძე/